

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმორეგულირებელი ორგანიზაციის ხელშეწყობით**

დღეს მოსლოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - ძლიერი თოვბა, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდა მთიან რაიონებში - 5-10, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სიბოლო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 764 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

**პირილოსი N იუსი**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ირენ ფელინს შეხვდა. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო ნატოს დია კარის პოლიტიკას და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესს. აღინიშნა, რომ ასპირანტი საქართველო ყოველთვის იყო ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და ქმედითუნარიანი პარტნიორი და უდიდესი წვლილი შეიტანა საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში.

პარლამენტის თავმჯდომარე ეგროკავშირის ელჩს და ეგროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს შეხვდა. პარლამენტი ე.წ. აგენტების შესახებ კანონპროექტების განხილვას იწყებს. პროექტებს სახელწოდებით - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ 2 მარტს, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე განიხილავენ. დიპლომატიკაში შეხვედრაზე აღნიშნულ პროექტებზეც ისაუბრებს.

პარტია „მოქალაქეები“ სახალხო დამცველის კანდიდატად ამავე პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იოსებ ბერიძის წარადგინა. აღნიშნულს შესახებ პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე დეპუტატმა ალექსანდრე ელისაშვილმა განაცხადა. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, მათ გარკვეული კონსულტაციები და კომუნიკაცია ჰქონდათ როგორც ოპოზიციურ ძალებთან, ასევე მმართველ პარტიასთან. თავის მხრივ, ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი იმედოვნებს, რომ მხარდაჭერა ექნება. „მესმის, რომ ყველას მოსაწონი ვერ იქნება, მაგრამ ამის მიუხედავად, მაქვს იმედი, რომ ვიქნები პარლამენტის ის კონსენსუსური ფიგურა, რომლის გარშემოც შეიკრება 90 ხმაზე მეტი“ - განაცხადა ლევან იოსელიანმა.

პარტია „საქართველოსთვის“ პარლამენტში აინიცირებს კანონის პროექტს „ოკუპანტი ქვეყნის რუსეთის ფედერაციის გავლენისგან დაცვის შესახებ“, - ამის თაობაზე პარტია „საქართველოსთვის“ საპარლამენტო გუნდმა გუშინ, ბრიფინგზე განაცხადა. მათი თქმით, პროექტის მიზანია, ამ ქვეყანაში გამოაშკარავდეს რუსეთის ფართული გავლენების წყაროები, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებები და მათი განმხორციელებელი პირები.

მომზადდა ია შვედიაში

**გამარჯვებული მიულოცეს**

სპორტსმენები, რომლებმაც თავიანთი თვალსაჩინო წარმატებებით ახლანდელს მშობლიური კუთხე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ მიიწვია და სპორტული მიღწევები მიულოცა

„საერთაშორისო და ეროვნულ ტურნირებში გამარჯვებას და ჩემპიონობას ვულოცავ ჩვენს საამაყო სპორტსმენებს. ლაშა გობაძემ, რამაზ ზოიძემ და გელა ბოლქვაძემ მოიპოვეს ოქროს მედლები ქალაქ ალექსანდრიის გამართულ საერთაშორისო სარეგიონული ტურნირზე ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში სხვადასხვა წონით კატეგორიაში. კესარია მგელაძე გახდა საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში 15 წლამდელოა შორის და მეექვსედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული თანატოლთა შორის“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ. შეხვედრას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მია ხაჯიშვილიც ესწრებოდა.



**განათლების სამინისტრო მშობლებს მოუწოდებს, ყურადღებით გაეცნონ პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადებსა და პირობებს**

ნაირა შუტპარაკი 27 48 93

2023-2024 სასწავლო წლისთვის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პირველკლასელთა რეგისტრაცია 6 მარტიდან დაიწყება - ნათქვამია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში

უწყება მშობლებს მოუწოდებს, ყურადღებით გაეცნონ რეგისტრაციის ვადებსა და პირობებს, რათა ბავშვის სკოლაში შეყვანა დროულად და შეუფერხებლად შეძლონ. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესული ცვლილების თანახმად, ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1 ოქტომბრამდე შეუსრულდება, პირველ კლასში სწავლის დაწყებას შეძლებენ. მანამდე არსებული რეგულაციით, სკოლაში დარეგისტრირება შეეძლოთ ბავშვებს, რომლებსაც 6 წელი 15 სექტემბრის ჩათვლით უსრულდებოდათ. უწყების ცნობით, რეგისტრაცია ოთხ ეტაპად ჩატარდება. I ეტაპი განხორციელდება 2023 წლის 6-20 მარტის ჩათვლით. ამ პერიოდში სკოლაში რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცემა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს.

I ეტაპზე რეგისტრირებული ბავშვებისთვის დოკუმენტების წარდგენის ვადაა 21 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით პერიოდია.

I ეტაპზე დასარეგისტრირებელი ბავშვების მშობლები განცხადებით იმ საჯარო სკოლას მიმართავენ, სადაც შვილის შეყვანა სურთ. სკოლის ადმინისტრაცია კი, თავის მხრივ, ბავშვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) დაარეგისტრირებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვას შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. იმ ბავშვებს, რომლებსაც არ დაუდასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, საშუალება ექნებათ, რეგისტრაცია მომდევნო ეტაპებზე გააარონ. საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ შესაძლოა ჩაითვალოს ბავშვი, რომელსაც აქვს: ფიზიკური შეზღ-



უდვა; ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; სწავლის უნარის დარღვევა; სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის); მეტყველების განვითარების დარღვევა; ქცევითი და ემოციური დარღვევა; გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება, სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძღვეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და, ასევე, აუტიზმის სუბექტრის მქონე ბავშვი.

II ეტაპი - სკოლაში დარეგისტრირდებიან ის ბავშვები, რომელთა ან და-ძმა სწავლობს იმავე სკოლაში, ან მშობელია სკოლის თანამშრომელი და/ან ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

ამ ეტაპზე რეგისტრაცია ხორციელდება საჯარო სკოლაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. რეგისტრაციას უზრუნველყოფს საჯარო სკოლა.

III ეტაპი 2 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.

IV ეტაპი დაიწყება 17 მაისიდან და 9 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

ეს უკვე საყოველთაო რეგისტრაციაა, რომე-

ლიც განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე registration.emis.ge. ელექტრონულად რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადებია 13 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით განხორციელდება. დადგენილ ვადებში თუ დოკუმენ-

ტაცია არ იქნება წარდგენილი, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

IV ეტაპზე სკოლაში ამ დროს გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე, ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა. მოსწავლის რეგისტრაციას მეოთხე ეტაპზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

IV ეტაპი 28 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება.

პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტებია:

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას; მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**გამოიცანით გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანმარებით თქვენს მისამ-

ართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

ISSN 2720-8702  
9 772720 870003



# ხელმძღვანელი წარუდგინეს


მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლეს შოთა დავითაძე უხელმძღვანელებს.

სასახლის თანამშრომლებს ხელმძღვანელი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მია ხაჯიშვილმა წარუდგინა.

შოთა დავითაძეს აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

2013 წლიდან დღემდე მუშაობს მუხრან ვახტანგაძის სახელობის სპორტის სასახლეში.

შეხვედრას განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირმა ნიუარაძე ესწრებოდნენ.



ფინანსების მიზნით. ერთ სტუდენტს შესაბამის სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურზე შეიძლება დაუფინანსდეს არაუმეტეს 6 სემესტრი. განმცხადებელს შეიძლება აუნაზღაურდეს შემდეგი ტიპის ხარჯები: სწავლის საფასური, ცხოვრების ხარჯი (ბინა, კომუნალური, კვება), ტრანსპორტი, სამედიცინო დაზღვევა, უმაღლესი საგანმანათ-

ლებლო დაწესებულების სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო რესურსების შეძენა, ვიზის და ვიზასთან დაკავშირებული ხარჯები, სხვა ხარჯები, რომლის მიზნობრიობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო.

პროგრამის „სწავლა საზღვარგარეთ“ დასაფინანსებლად 2014 წლიდან დღემდე სულ აჭარის ბიუჯეტიდან გამოიყო 4071000 ლარი.

2023 წელს პროგრამის ბიუჯეტი 875 000 ლარია. პროგრამის ფარგლებში, 2014 წლიდან დღემდე სულ დაფინანსდა 98 სტუდენტი.

განაცხადების მიღება იწარმოებს 2023 წლის 1 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით, 18:00 სთ-მდე.

# „სწავლა საზღვარგარეთ“

ნაბიჯი ბაზაიში 514 22 22 80

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პროგრამის - „სწავლა საზღვარგარეთ“ ფარგლებში, აცხადებს საგრანტო კონკურსს. პროგრამის მიზანია ახალგაზრდა ნიჭიერი კადრების აკადემიური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს: აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე კონკურსის გამოცხადებამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქე-

ეს, პირს, რომელიც ჩარიცხულია/ჩარიცხება ევროკავშირის წევრი ქვეყნების, გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიის, იაპონიის, შვეიცარიისა და ნორვეგიის უნივერსიტეტში.

მეორე და მესამე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე, პოსტსაბაკალავრო/პოსტსამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე.

2023 წელს კონკურსის წესით შერჩეული აპლიკანტები მიიღებენ 15 000 ლარს გრანტის სახით ერთი სემესტრის სწავლის ხარჯების და-

# იუსტიციის სახლში საპენსიო სააგენტოს ყველა სერვისის მიღება გახდა შესაძლებელი

ნაბიჯი ხუთშაბათი 27 48 93

იუსტიციის სახლში პირველი მარტიდან საპენსიო სააგენტოს ყველა სერვისის მიღება გახდა შესაძლებელი. მომხმარებელს მომსახურების მიღება მთელი საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში შეუძლია. იუსტიციის სახლსა და საპენსიო სააგენტოს თანამშრომლობის ფარგლებში მომხმარებლებს შეუძლიათ, განაცხადი გააკეთონ ისეთ სერვისებზე, როგორც არის: დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვა, სხვადასხვა საფუძვლით პენსიის დანიშვნა, საპენსიო სააგენტოს ვებგვერდზე ავტორიზაციის გავლა, ინდივიდუალური გვერდის პირველადი პაროლის მიღება/აღდგენა, სქემის მონაწილის ცნობის მიღება და სხვა. საპენსიო სააგენტოს მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გეოგრაფიული არეალი მთელ საქართველოს ფარავს და 117 ფილიალში, ასევე, მობილურ იუსტიციის სახლებშიც არის წარმოდგენილი, რაც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, სასურველი მომსახურება სახლთან ახლოს მიიღოს.



# ახალგაზრდული პოლიტიკის ინსტიტუციური ბაქლირაჯისთვის

ნაბიჯი ბაზაიში 514 22 22 80

2023 წელს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, ახალგაზრდული პოლიტიკის ინსტიტუციური გაძლიერება ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაღრმავება, აგრეთვე მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, ასევე, ახალგაზრდობის სფეროში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხედვებისა და პროექტების მუნიციპალიტეტებისთვის წარდგენის მიზნით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრი მია ხაჯიშვილი, საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი მექმარიაშვილი, კომიტეტის წევრი, ახალგაზრდულ საკითხებზე პასუხისმგებელი დეპუტატი გივი მიქანაძე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგი-

ლე ირაკლი გივიაშვილი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჭინჭარაძე და საკრებულოს წევრი რიჩარდ სირაბიძე.

შეხვედრასთან დაკავშირებით, „აჭარასთან“ კომენტარი გააკეთა საკრებულოს წევრმა **რიჩარდ სირაბიძემ**.

შეხვედრა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობას, ახალგაზრდული პოლიტიკის ინსტიტუციურ გაძლიერებას, მუნიციპალური ახალგაზრდული პო-

ლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას და სამომავლოდ ახალგაზრდული სტრატეგიის მიხედვით სწორი პოლიტიკის შემუშავებას ემსახურებოდა. ასევე, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მათი საჭიროებების და არსებული პრობლემების შესახებ ისაუბრეს და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე ვიმსჯელებთ. ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით, იგეგმება ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში, ასევე, სტაჟირე-

ბა მათი კარიერული განვითარებისთვის, რაც ახალი კანონმდებლობის მიხედვით, გამოცდილებაში ჩაეთვლება ყველა ახალგაზრდას. ასევე, დაგეგმილია მუნიციპალიტეტებში (განსაკუთრებით - მაღალმთიან აჭარაში) ახალგაზრდების საჭიროებების მიხედვით, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პრობლემების შექმნა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით, სხვადასხვა ინიციატივის განხორციელება და მხარდაჭერა, - გვითხრა რიჩარდ სირაბიძემ.



# სტუდენტის სტატუსი მას ჯარიდან ვეღარ იხსნის

ნაბიჯი ხუთშაბათი 577 20 35 90

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახალ „თავდაცვის კოდექსზე“ მუშაობს, რომელიც გულისხმობს, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა მოუწევს ყველა წევრადელს, მათ შორის იქნებიან სტუდენტები, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით შეირჩევიან. აღნიშნულთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ისაუბრა. გრიგოლ გიორგაძის განმარტებით, დღეს სტუდენტის სტატუსი ითვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების საფუძვლად, მაგრამ ახალი კოდექსის თანახმად, სტუდენტის სტატუსი აღარ იქნება სამხედრო სამსახურის თავიდან აცილების შესაძლებლობა. მისივე განმარტებით, ცვლილება არ იქნება სტუდენტისთვის ხელის შემშლელი, ვინაიდან სამინისტრო სტუდენტებს სხვა წევრადელებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს, ანუ განსხვავებულ პირობებს შესთავაზებს, რითაც მათ შეეძლებათ აირჩიონ 6-თვიანი, 8-თვიანი, 11-თვიანი, ან, სწავლასთან ერთად, 4-წლიანი პროგრამა.

4-წლიანი პროგრამა გულისხმობს, 4 წლის განმავლობაში, ყოველ წელიწადს, წელიწადში ერთხელ, არდადეგების ხარჯზე, მოხდეს სტუდენტების გადაზიდვა, წვრთნა, შეკრება და 4 წლის თავზე, როდესაც ისინი დიპლომს აიღებენ, ჩაირიცხებიან რეზერვში. ეს პროგრამა ისეა შედგენილი, რომ სტუდენტები შეიძენენ მინიმალურ და აუცილებელ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, - განაცხადა გრიგოლ გიორგაძემ.

აღსანიშნავია ისიც, რომ განხილული კანონით, სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის გაწვეული წევრადელები მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში იმსახურებენ, შესაბამისად, არ მოუწევთ ისეთ დაწესებულებებში მუშაობა, როგორც ირანული და უსაფრთხოების დაწესებულებები.

უსწავლის განმარტებით, სავალდებულო გაწვევა არ შეეხება ყველა სტუდენტს, რადგან შეჩერება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდება, რომელსაც ელექტრონული პროგრამა უზრუნველყოფს.

არ მომწონს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი ცვლილება. რას ჰქვია, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოგედენ და უცებ გამოიწვადონ, რომ სამხედრო სამსახურის გავლა მომიწევს?! რაც უნდა თქვან, რომ აღნიშნული ხელისშემშლელი არ იქნება, ვფიქრობ, სწავლის დროს მთავარი უნდა იყოს განათლება და სხვა ყველა დამატებითი ვალდებულება სწორედაც რომ ხელს შემიშლის. ჭერ უნდა მოგეშალო ფსიქოლოგიურად და შემდეგ შეიძლება ჯარში წასვლა, უარს ნამდვილად არ ვამბობ, მაგრამ რაღაც პროგრამამ გადაწყვიტოს, რომელი სტუდენტი წავა ჯარში და რომელი - არა, ეს, ერთგვარად, უფლებების დარღვევად მიმაჩნია და სტუდენტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებად, - გვითხრა პირველი კურსის სტუდენტმა გელა აბაშიძემ.

კანონპროექტით, განახლებული კოდექსის ამოქმედება 2025 წლიდან იგეგმება.











